

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების
მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №9**

ქ. ლანჩხუთი

25.11. 2019 წელი
12.00 საათი

სხდომას ესწრებოდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვამე.

კომისიის წევრები: ზაალ სანაძე, ზურაბ კუკულავა, ზაზა წულაძე, კარლო კვიტაიშვილი, ოთარ პატიეშვილი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამარ ფირცხალაიშვილი.

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა დეპუტატები: ალექსანდრე მახათაძე, ირაკლი მარშანიშვილი.

კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვამემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვამე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვამე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვამე/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვამე/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

6.სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:
მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მან აღნიშნა, რომ ბოლო წლებში არსებული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რითაც თავის მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2020-2023 წწლებში მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას. ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ინფრასტრუქტურის განვითარება;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- განათლება;
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მან აღნიშნა, რომ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის, ასევე 2020-2023 წლების პრიორიტეტების დოკუმენტისა და ამ დანართის შემუშავება განხორციელდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 27 ივლისის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამული ბიუჯეტის შედგენის ახალი მეთოდოლოგიის შესაბამისად. საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგია, სხვა მეთოდურ მითითებებთან ერთად, განსაზღვრას საქართველოს სახელმწიფო, ავტონომური და ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტების შედგენის ფორმატს, ბიუჯეტის სტრუქტურას, დანართებს და ინფორმაციის ჩამონათვალს თუ რას უნდა მოიცავდეს წლიური ბიუჯეტის პროექტი და თანდართული დოკუმენტაცია. პროგრამულ დანართში, ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტისაგან განსხვავებით, მუცემულია ლანჩუთის 2020 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების და ქვეპროგრამების მოსალოდნელი შედეგების შეფასების ინდიკატორები. მასში წარმოდგენილია ის პროგრამები და ქვეპროგრამები, რომელთა დაფინანსებასაც ითვალისწინებს 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი. პროგრამების (ქვეპროგრამების) აღწერა და ასიგნებების

საპროგნოზო მოცულობები წარმოდგენილია მომავალ 4 წელზე, ხოლო მოსალოდნელი შედეგები და შედეგების შეფასების ინდიკატორები ხშირ შემთხვევებში მოიცავს მხოლოდ 2020 წელს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრების მიერ ბიუჯეტის ფორმირებასთან დაკავშირებით გამოითქვა შემდეგი სახის შენიშვნები: კერძოდ;

-ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრისთვის“ გამოყოფილი მილიონ 350 ათასი ლარი არასაკმარისია, რადგან გასულ წელთან შედარებით საწვავზე ფასის ცვლილებამ, მაწანწალა ძაღლების გაყვანაზე გახარჯულმა თანხამ, ავტოსატრანსპორტო საშუალების შეკეთების აუცილობლობამ, ზაფხულში ზღვისპირა ზოლის დასუფთავებისთვის მუშა ხელის დამატებამ მოითხოვა არსებული ბიუჯეტის გაზრდა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ა(ი)პ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრისთვის“ 50 000 ლარის დამატება კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია და თვლის, რომ შესაძლებლობის ფარგლებში უნდა გაეზარდოს დაფინანსება.

-ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებას“ საჭიროა დაემატოს 55 000 ლარი ფოლკლორული ჯგუფებისთვის ფორმების შესაძენად.

კომისიას მართებულად მიაჩნია, რომ სახელოვნებო სკოლებს დაემატოს 4800 ლარი, რათა მის დაქვემდებარებაში არსებული ობიექტები დაცვაზე იქნას აყვანილი.

ასევე კომისია თვლის, რომ გენდერულ საბჭოს საჭიროა დაემატოს 5000 ლარი.

კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვამემ აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია ხელფასების მოწესრიგება, რომელიც სასურველია შეეხოს ყველა რანგის სპეციალისტს, რისთვისაც დამატებით საჭიროა 28 000 ლარის მოძიება.

კომისია მართებულად თვლის, რომ შპს „ქალთა საფეხბურთო კლუბ ლანჩხუთის ლანჩხუთს“ გაეზარდოს ბიუჯეტი 20 000 ლარით.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობისათვის ბიუჯეტში გამოყოფილია 40 000 ლარი. თანხა ირიცხება ეპარქიაში, რომელსაც შემდგომში მეუფე ანაწილებს. კომისია მიიჩნევს, რომ აღნიშნული თანხა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მდებარე მონასტრებს მოხმარდეს საჭიროების შემთხვევაში.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გამოთქმული შენიშვნებით და რეკომენდაციებით დაბრუნებული იქნეს მერიაში.

მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ნაჭყებამ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ნიგოთში (ქვიანში) მდებარე ამბულატორიის შენობის, №6-ი 14.72 კვ.მ. ფართი ოთახის (ს/კ 27.04.50.282)) ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ (ს/ნ 233731478) სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლოდ უზუფრუქტის ფორმით გადაცემა არის

მიზანშეწონილი, ვინაიდან აიპის აღნიშნული უძრავი ქონება ესაჭიროება მისთვის წესდებით განსაზღვრული ფუნქციების განსახორციელებლად, კერძოდ სოფლის ბიბლიოთეკის განსათავსებლად.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონება აუქციონის გარეშე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, გადასცეს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ნაჭყებამ. მან აღნიშნა, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის, გიორგი დუგლადის, 2019 წლის 15 ოქტომბრის N1/1-5187 ბრძანების თანახმად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს, დამატებითი ქონების სახით გადმოეცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ორი ერთეული ნაგავშენი და 150 ცალი ლითონის ნაგავშენები კონტეინერი. აღნიშნული მოძრავი ქონების ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, დაფუძნებული ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრისთვის“ (ს/ნ 433649322) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემა არის მიზანშეწონილი, ვინაიდან აიპის ის ესაჭიროება მისთვის წესდებით განსაზღვრული ფუნქციის განსახორციელებლად.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონება აუქციონის გარეშე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, გადასცეს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ნაჭყებამ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებულმა აუქციონატორმა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოძრავ ქონებაზე (ავტომობილი - VAZ 2107; გამოშვების წელი 1999, ფერი მწვანე - 8/8; სედანი; სარეგისტრაციო ნომერი MAC-002) ორჯერ უზრუნველყო ელექტრონული აუქციონის მოწყობა-როგორც საწყისი საპრივატიზებო საფასურით (1200 ლარი), ასევე განმეორებით 50%-ის შემცირებით, მაგრამ მიუხედავად ამისა მისი პრივატიზება არ განხორციელდა. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მოსაზრებაა, რომ ზემოაღნიშნულ მოძრავ ქონებაზე ისევ გამოცხადდეს განმეორებითი ელექტრონული

აუტეიონი, რომლის საფუძველზეც მომზადდა წარმოდგენილი პროექტი, სადაც მომზადი ქონების საწყისი საპროექტო საფასური 70%-ით შეიქმნა და განისაზღვრა 360 ლარით. კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე. სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს. მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა.

დეკლარაცია კარლო გვიტაიშვილმა დააყენა შემდეგი სახის წინადადებები:

- ზედიზედ მოსაწესრიგებელია ქ. ლანჩხუთში გორდამიას ქუჩა N122 მდებარე უნივერსალის შენობის მეორე სართული;
- ასევე მოსაწესრიგებელია გარე გაჭრობის საკითხი.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი
რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე



გიორგი ჩახვაძე

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის დასკვნა №9**

**25.11.2019 წელი
12.00 საათი**

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 25 ნოემბერს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ღანწხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ღანწხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი „ღანწხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ღანწხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ დადგენილების პროექტი გამოთქმული შენიშვნებით და რეკომენდაციებით დაზრუნებული იქნას მერიში.
მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი „ღანწხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ღანწხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ღანწხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი „ღანწხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ა(ა)იპ „ღანწხუთის მუნიციპალიტეტის კეთილშოყობისა და მომსახურების ცენტრისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ღანწხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი „ღანწხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი სამრეწველო საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ღანწხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.

ღანწხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი
რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე



გიორგი ჩახვაშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და
 ზუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო
 ფურცელი

25.11.2019 წელი
 12:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	გიორგი ჩახვაძე	11:55	გ. ჩახვაძე
2	ზაზა წულაძე	12:00	ზ. წულაძე
3	კარლო კვიტაიშვილი	11:57	კ. კვიტაიშვილი
4	ალექსანდრე მახათაძე	11:56	ა. მახათაძე
5	ზაალ სანაძე	10:55	ზ. სანაძე
6	ოთარ პატიშვილი	11:57	ო. პატიშვილი
7	ზურაბ კუკულაშვილი	11:58	ზ. კუკულაშვილი
8	ირაკლი მარშანიშვილი	11:56	ირაკლი მარშანიშვილი